აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 55

27 ივნისი 2004 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში შემოსული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ქ" ქვეპუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. უარი ეთქვათ, თავისუფლების ინსტიტუტი-კოალიცია სამართლიანი არჩევნების, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ახალგაზრდული კავშირი-თაობას, ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებთან დაკავშირებულ განცხადება/საჩივრების დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე